



№ 002695/31

08/05/2023

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის  
პრეზიდიუმის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სსიპ – კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა  
სააგენტოს საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პრეზიდიუმი (შემდგომ – პრეზიდიუმი) შემდეგი  
შემადგენლობით:

1. ცოტნე ყავლაშვილი – გენერალური აუდიტორი, სხდომის თავმჯდომარე
2. ცოტნე ქარქაშაძე – სახელმწიფო ბიუჯეტისა და სტრატეგიული ანალიზის დეპარტამენტის უფროსი
3. თორნიკე შერმადინი – ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტის უფროსი
4. გიორგი მამრიკიშვილი – თვითმმართველი ერთეულების აუდიტის დეპარტამენტის უფროსი
5. გიორგი კაპანაძე – ეფექტიანობის აუდიტის დეპარტამენტის უფროსი
6. გიორგი გაჩეჩილაძე – ინფორმაციული ტექნოლოგიების ადმინისტრირების დეპარტამენტის უფროსი
7. ალექსანდრე გოგოლაშვილი – აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი
8. მარიამ ზაალიშვილი – სოციალური სფეროს აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი
9. კახაბერ კირტავა – აუდიტის დეპარტამენტის უფროსი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში;
10. ვაჟა ბრავგაძე – ადმინისტრაციის უფროსი
11. ნატო ზაალიშვილი – იურიდიული დეპარტამენტის უფროსი.

**საჩივრის ავტორი:** აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სსიპ – კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტო (შემდგომ – სააგენტო).

**წარმომადგენლები:** სააგენტოს დირექტორი – ლიანა კვარაცხელია; სააგენტოს იურისტი – ანა კორკელია (მინდობილობა MES 6 23 0000510307); სააგენტოს აპარატის უფროსი – ნინო გოგოხია (მინდობილობა MES 6 23 0000510307); დავით ხოსრუაშვილი (მინდობილობა N230574650).

**მოწინააღმდეგე მხარე:** აუდიტის დეპარტამენტი აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში.

**წარმომადგენლები:** აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აუდიტის დეპარტამენტის უფროსი – ნოე ქაშიბაძე, უფროსი აუდიტორი – ეთერ კაცაძე.

**დავის საგანი:** აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული ორგანიზაციების (სსიპ-ები) ფულადი სახსრების მიღება-ხარჯვისა და მატერიალური ფასეულობების გამოყენების შესაბამისობის აუდიტის 2023 წლის 04 აპრილის N15/36 ანგარიშში ცვლილების შეტანის შესახებ.

## I

### აღწერილობითი ნაწილი:

პრეზიდენტმა 2023 წლის 24 აპრილს საჩივრით მომართა სააგენტომ (სახელმწიფო აუდიტის სამსახურში რეგისტრაციის ნომერი და თარიღი: N2318/29; 24/04/2023) და მოითხოვა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკაში აუდიტის დეპარტამენტის მიერ 2023 წლის 04 აპრილს დამტკიცებული „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული ორგანიზაციების (სსიპ-ები) ფულადი სახსრების მიღება-ხარჯვისა და მატერიალური ფასეულობების გამოყენების შესაბამისობის აუდიტის“ N15/36 ანგარიშში ცვლილების შეტანა შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

1. საჩივრის ავტორი სპორტული მწვრთნელების შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ ნაკლოვანებებზე (აუდიტის ანგარიში, გვ. 14-15) აღნიშნავს, რომ სააგენტო არ ეთანხმება აუდიტის ჯგუფის შეფასებას იმის თაობაზე, რომ მოცემულ კომპონენტში სააგენტომ შექმნა საბიუჯეტო სახსრების არარაციონალური ხარჯვის რისკები, კერძოდ:

ა) სააგენტო აღნიშნავს, რომ მის მიერ წინასწარ მოკვლეული ინფორმაციის მიხედვით, სპორტის სხვადასხვა სახეობებში სპორტსმენების მომზადება გარკვეულ ფინანსებს უკავშირდება. ამ გარემოების გათვალისწინებით, 2020 წლიდან 2021 წლის პერიოდში აფხაზეთში პოპულარული და ტრადიციული სპორტის სახეობების განვითარების ხელშეწყობის, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების, აფხაზეთის სახელით გუნდებისთვის კანდიდატების მომზადების მიზნით, სსიპ – კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტოში თავისუფალ ჭიდაობაში, მძლეოსნობაში, ფარიკაობაში, კალათბურთში, ფეხბურთში, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობასა და ძალოსნობაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული იყვნენ მწვრთნელები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ მოზარდებისა და ახალგაზრდების ჯგუფების შექმნას, სადაც აფხაზეთიდან დევნილები უსასყიდლოდ გადიოდნენ წვრთნა-ვარჯიშებს.

საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ დღეის მდგომარეობითაც, აღნიშნულ სპორტის სახეობებში მოზარდებისა და ახალგაზრდების მომზადება ფასიანია, თუმცა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკაში აუდიტის დეპარტამენტის ჯგუფი ანგარიშში მიგნებების ნაწილში აპელირებას აკეთებს მხოლოდ მძლეოსნობის ეროვნული ფედერაციიდან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომლის მიხედვითაც „ფედერაციაში ვარჯიში არის უფასო“.

სააგენტოს განმარტებით, მძლეოსნობის ეროვნული ფედერაციის წესდების შესაბამისად, ფედერაცია უზრუნველყოფს საქართველოს მძლეოსანთა ეროვნული ნაკრების მხოლოდ იმ გუნდების ფორმირებასა და მომზადებას, რომლებმაც საქართველოს სახელით მონაწილეობა უნდა მიიღონ ოლიმპიურ თამაშებში, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში, სხვადასხვა საერთაშორისო შეჯიბრებებში. ამავდროულად, არსებობს საქართველოს ჩემპიონატები და სხვადასხვა დონის შეჯიბრებები ქვეყნის შიგნით, რომლის ჩატარების უზრუნველყოფას და არა მონაწილეთა მომზადებას, ახორციელებს მძლეოსნობის ფედერაცია; საქართველოს ჩემპიონატებსა და სხვადასხვა დონის შეჯიბრებებში კი სპორტსმენები საკუთარი ხარჯებით ემზადებიან და მათივე რეგიონების (ასევე ქალაქების) სახელით მონაწილეობენ.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2019 წლის 25 დეკემბრის N44 დადგენილებით სსიპ – კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტოს დებულების მე-2 მუხლის „ნ“, „ო“, „პ“, „ჟ“, „უ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, სააგენტოს სხვა მიზნებთან და ამოცანებთან ერთად – ოლიმპიური თამაშებისათვის, საქართველოს, ევროპის, მსოფლიო ჩემპიონატებსა და პირველობებზე მოზარდების, კადეტთა და ახალგაზრდული ნაკრებებისათვის

კანდიდატების მომზადება და სკოლისგარეშე ფიზიკური აღზრდა, ზოგადად, სპორტისა და სპორტის სახეობათა ტრადიციების შენარჩუნება, დაცვა და განვითარებისათვის სათანადო პირობების შექმნა წარმოადგენს.

სააგენტოს განმარტებით, სააგენტოს მიერ მწვრთნელების აყვანის მიზანია სწორედ ის იყოს, რომ აფხაზეთიდან დევნილები უსასყიდლოდ მომზადებულიყვნენ სპორტის სხვადასხვა სახეობებში საქართველოს, ევროპის, მსოფლიო ჩემპიონატებისათვის და აფხაზეთის სახელით მიეღოთ მონაწილეობა ჯერ საქართველოს შეჯიბრებებსა თუ ტურნირებში, შემდგომ საქართველოს სახელით ოლიმპიურ თამაშებში, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში, სხვადასხვა საერთაშორისო შეჯიბრებებში.

საჩივრის ავტორმა საჩივარში წარმოადგინა სააგენტოს მიერ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული მწვრთნელების მიერ მომზადებული აფხაზეთიდან დევნილ სპორტსმენთა მიღწევების ჩამონათვალი და განმარტა, რომ ეს მცირე ჩამონათვალიც კი საკმარისი საფუძველია იმისათვის, რომ სააგენტომ ამ კომპონენტში წინასწარ განსაზღვრული მიზანი შეასრულა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ანგარიშში არსებული ჩანაწერი – „მმლესნობის ეროვნული ფედერაციიდან მიღებული ინფორმაციით დადგინდა, ფედერაციაში ვარჯიში უფასოა. შესაბამისად, სააგენტო შრომის ანაზღაურებას უხდის ფედერაციის მწვრთნელებს, რომელთა მოვალეობაში ისედაც შედიოდა სპორტსმენთა უფასოდ ვარჯიში“ – საჩივრის ავტორის მოსაზრებით არის არასაკმარისი, არასათანადო შესწავლის შედეგად არასწორად ინტერპრეტირებული ფაქტი.

საჩივრის ავტორი დამატებით განმარტავს, რომ 2022 წლიდან საწვრთნო ვარჯიშები მიმდინარეობს მხოლოდ ორ სახეობაში: თავისუფალ ჭიდაობასა და ბერძნულ - რომაულ ჭიდაობაში.

**ბ)** საჩივრის ავტორი არ ეთანხმება აუდიტორულ მოსაზრებას, რომ „სპორტული კლუბების შემთხვევაში ვერ დგინდება: რა კრიტერიუმებზე დაყრდნობით მიიღო სააგენტომ გადაწყვეტილება, კომერციული მიზნით შექმნილი კლუბების მწვრთნელებისთვის გადაეხადა შრომის ანაზღაურება, მაშინ როდესაც ამ კლუბების გარდა არსებობს აფხაზეთის სახელით მოასპარეზე სხვა მრავალი სპორტული კლუბი“.

საჩივრის ავტორის განმარტებით, სააგენტომ კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, სპორტის სხვადასხვა სახეობაში მწვრთნელები მათი გამოცდების შესაბამისად აიყვანა; სწორედ გამოცდილება იყო ის ძირითადი კრიტერიუმი, რომლის შესაბამისად მოხდა მწვრთნელების შრომითი ხელშეკრულებით სააგენტოში დასაქმება. აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაცია და გამოცდების დამადასტურებელი დოკუმენტაცია აუდიტის ჩატარების პერიოდში მიწოდებულ იქნა აუდიტის ჯგუფისთვის.

**გ)** საჩივრის ავტორი არ ეთანხმება აუდიტორულ მოსაზრებას, რომ სააგენტოს მიერ დოკუმენტურად ვერ დასტურდება მწვრთნელთა მიერ ვარჯიშების ჩატარების კონტროლის პროცედურები, ვინაიდან, საჩივრის ავტორის განმარტებით, აუდიტის განხორციელების პერიოდში შესაბამის ჯგუფს მიეწოდა ვარჯიშების ჩატარების შესახებ ინფორმაცია წლების, დღეებისა და საათების მიხედვით.

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2019 წლის 25 დეკემბრის N44 დადგენილებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, სსიპ – კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტომ შრომითი ხელშეკრულებით აიყვანა შესაბამისი სპეციალობის მქონე სხვადასხვა სპორტის სახეობის მწვრთნელები. სააგენტოს მიერ მწვრთნელების აყვანის მიზანს წარმოადგემდა აფხაზეთიდან დევნილი მოზარდებისა და ახალგაზრდების სპორტის სხვადასხვა სახეობებში უსასყიდლოდ მომზადება, ასევე აფხაზეთის სახელით ასპარეზობა.

საჩივრის ავტორი არ იზიარებს აუდიტის ანგარიშის დასკვნაში მოცემულ მსჯელობას, რომ სააგენტოს მიერ დასაქმებულ მწვრთნელთა შერჩევის დაუსაბუთებლობისა და არასათანადო კონტროლის შედეგად, იქმნება საბიუჯეტო სახსრების არარაციონალური ხარჯვის რისკები. მისი მოსაზრებით, აუდიტის დასკვნაში ფაქტობრივი გარემოებები იმგვარად არის წარმოდგენილი, რომ აჩენს სააგენტოს მხრიდან საბიუჯეტო სახსრების არარაციონალურად ხარჯვის განცდას. სააგენტო აღნიშნავს, რომ ანგარიშში მხოლოდ მძლეოსნობის ეროვნული ფედერაციისგან მიღებული ინფორმაციის აღნიშვნაც, სწორედ ამ პოზიციის გამყარებას ემსახურება. მისი აზრით, გაუგებარი და ბუნდოვანია, რას ნიშნავს „იქმნება საბიუჯეტო სახსრების არარაციონალური ხარჯვის რისკები“, მაშინ როდესაც სააგენტომ დასახულ მიზანს მიაღწია და ამის მარწმუნებელი ინფორმაციის მოძიება საჯარო წყაროებიდან თავისუფლად იყო შესაძლებელი, თუმცა ეს გარემოება აუდიტის ანგარიშში არ იქნა გათვალისწინებული.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, სააგენტო მოითხოვს აუდიტის ანგარიშის 2.1.2 საკითხის სრულად ამოღებას, ვინაიდან მიაჩნია, რომ სააგენტოს მხრიდან საბიუჯეტო სახსრების არარაციონალურ ხარჯვას ადგილი არ ჰქონია და არც არარაციონალური ხარჯვის რისკი შექმნილა.

**2. საჩივრის ავტორი ანსამბლების: „ოტობაიას“ და „გუმბათთან“ დაკავშირებულ დარღვევებზე** (აუდიტის ანგარიში, გვ. 15-16) აღნიშნავს, რომ როგორც ცნობილია, ანსამბლი „გუმბათი“ და „ოტობაია“ ჯერ კიდევ სააგენტოს შექმნამდე არსებობდა და იქამდე არსებული სსიპ-ების – აფხაზეთის კულტურისა და ხელოვნების ცენტრისა და მოზარდ-ახალგაზრდობის შემოქმედებითი ცენტრის შემადგენლობაში შედიოდა. აფხაზეთიდან დევნილი ახალგაზრდების ხელშეწყობის მიზნით, ახლადშექმნილი სააგენტოს დირექტორის 2020 წლის 24 იანვრის N03/მ ბრძანებით დამტკიცდა „სახელოვნებო მიმართულების მარეგულირებელი წესი“, სადაც განსაზღვრული იყო მიზნები, ასევე მაკონტროლებელი და გადაწყვეტილების მიმღები პირების შესახებ ინფორმაცია. მოცემული მარეგულირებელი წესი სახელოვნებო მიმართულების კუთხით ითვალისწინებდა სააგენტოს ვალდებულებას, მოეწვია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პედაგოგები. ყოველივე ამის გათვალისწინებით, სააგენტომ შრომითი ხელშეკრულება გააფორმა ზემოთ ხსენებული ანსამბლების პედაგოგებთან იმ პირობით, რომ ისინი სრულიად უსასყიდლოდ უზრუნველყოფდნენ აღნიშნული სფეროთი დაინტერესებული აფხაზეთიდან დევნილი ახალგაზრდების მომზადებას, ჯგუფის შექმნას და ჯგუფის სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობას. ამასთანავე, სახელოვნებო მიმართულებას ჰყავდა თავისი კოორდინატორი, რომელიც უზრუნველყოფდა ანსამბლების ფუნქციონირების კოორდინაციას და ორგანიზებას. ამავდროულად, სააგენტომ ხელშეკრულებები გააფორმა აფხაზეთიდან დევნილი იმ მოსწავლეების კანონიერ წარმომადგენლებთან, რომლებმაც სურვილი გამოთქვეს ესწავლათ სიმღერა და ცეკვა.

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ ანსამბლ „ოტობაიას“ პედაგოგები და ჯგუფი 2021 წლის აპრილში სრულად გადავიდა ანსამბლ „აფხაზეთის“ დაქვემდებარებაში. შესაბამისად, ანსამბლ „ოტობაიას“ პედაგოგები ამ პერიოდის შემდეგ შრომით ანაზღაურებას იღებდნენ ანსამბლ „აფხაზეთისგან“.

სააგენტოს განმარტებით, მართალია, ანსამბლის სახელწოდებები შესაბამისი ბრძანებით არ იყო განსაზღვრული, თუმცა აღნიშნული არ გულისხმობს იმას, რომ არ არსებობდა მათი ფუნქციონირების სამართლებრივი საფუძველი. სააგენტო მიუთითებს, რომ არსებობდა რა ბრძანებით დამტკიცებული „მარეგულირებელი წესი“, შრომითი ხელშეკრულება გაფორმებული იყო პედაგოგებთან, ასევე კოორდინატორთან და მშობლებთან.

საჩივრის ავტორის მოსაზრებით ასევე დაუსაბუთებელია, რა კრიტერიუმებზე დაყრდნობით შეაფასა აუდიტის ჯგუფმა ის გარემოება, რომ ანსამბლების საქმიანობისთვის გამოყოფილი სახსრები ქმნის „არაეფექტიანი“ ხარჯვის რისკებს, მაშინ როდესაც, პანდემიის შედეგად შეზღუდვების პირობებშიც სააგენტომ აფხაზეთიდან დევნილ ახალგაზრდებს მისცა

შესაძლებლობა, მონაწილეობა მიეღოთ და გარკვეული წარმატებისთვის მიეღწიათ სხვადასხვა კონკურსებში, ღონისძიებებსა თუ გადაცემებში. შესაბამისად, საჩივრის ავტორს მიაჩნია, რომ სააგენტომ პედაგოგებისა და ხელმძღვანელის აყვანით დასახულ მიზანს მიაღწია და დღემდე აღწევს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ სააგენტოს საქმიანობის აუდიტორული შეფასებისას ისეთი ტერმინების გამოყენება, როგორიცაა: „სამართლებრივად არ არსებული“; „შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლების გარეშე“; „არამართლზომიერი“, „არაეფექტიანი“, გადაჭარბებულია.

შესაბამისად, საჩივრის ავტორი, ზეპირ მოსმენაზე დაზუსტებული მოთხოვნით, ითხოვს 2.1.3 ქვეთავის აუდიტის ანგარიშიდან ამოღებას.

**3. საჩივრის ავტორი ჟურნალების:** „რიწასთან“ და „იალქანთან“ დაკავშირებულ ხარვეზებზე (აუდიტის ანგარიში, გვ. 16-18) აღნიშნავს შემდეგს:

ა) სააგენტო არ ეთანხმება აუდიტის ანგარიშში არსებულ ჩანაწერს, რომ „ჟურნალების გამოცემის ხარჯები კულტურის სააგენტოს აპარატის მუხლიდან გაწეულ იქნა არამართლზომიერად“.

სააგენტო განმარტავს, რომ აღნიშნულ კომპონენტში ქმედების „არამართლზომიერად“ შეფასება გადაჭარბებულია, ვინაიდან ქმედება, რომლის განხორციელების უფლებაც სააგენტოს კანონით ჰქონდა მინიჭებული, არ შეიძლება ჩაითვალოს არამართლზომიერად.

საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „საჯარო სამართლის იურიდიული პირი უფლებამოსილია განახორციელოს შესაბამისი კანონით, საქართველოს მთავრობის დადგენილებით ან/და თავისი წესდებით (დებულებით) გათვალისწინებული საქმიანობა“. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2019 წლის 25 დეკემბრის N44 დადგენილებით დამტკიცებული სსიპ – კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტოს დებულების მე-2 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სააგენტოს აქვს უფლებამოსილება, განახორციელოს საგამომცემლო საქმიანობა. შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი უფლებამოსილია განახორციელოს კანონით ან მისი სადამფუძნებლო დოკუმენტებით გათვალისწინებული მიზნების შესაბამისი საქმიანობა. მოცემულ შემთხვევაში, ჟურნალების: „რიწისა“ და „იალქნის“ გამოცემაც წარმოადგენს საგამომცემლო საქმიანობას, რომლის განხორციელების უფლებამოსილებაც სააგენტოს კანონით გააჩნდა და დღემდე გააჩნია.

ამასთანავე, საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ სააგენტო 2020 წელს დაარსდა და ამ დროს ჯერ კიდევ საპილოტე რეჟიმში, პანდემიის პირობებში, მუშაობდა. ამავე პერიოდში სააგენტოს გააჩნდა ერთადერთი სახაზინო კოდი, საიდანაც არა მხოლოდ „რიწისა“ და „იალქნის“ ხარჯები, არამედ სხვა ყველა ხარჯი გაიცემოდა. 2021 წლის აპრილში კი, დირექტორის ბრძანებით დამტკიცდა პროგრამები და ქვეპროგრამები შესაბამისი პროგრამული კოდების გათვალისწინებით.

შესაბამისად, საჩივრის ავტორი ითხოვს, რომ მოცემული კომპონენტი დაკორექტირდეს და ტერმინი „არამართლზომიერი“ ყველა წინადადებიდან, მათ შორის, დასკვნითი ნაწილიდან, იქნეს ამოღებული.

ბ) საჩივრის ავტორი არ ეთანხმება აუდიტორულ მოსაზრებას, რომ „ჟურნალებისთვის არ იყო დადგენილი სარედაქციო პოლიტიკა, ნათლად და მკაფიოდ არ განსაზღვრულა ის საკითხები, რას უნდა მომსახურებოდა ჟურნალების წარმოება/გამოცემა, ვის და როგორ უნდა მიეღო გამოსაქვეყნებელი ნაშრომების შესახებ გადაწყვეტილება, ვინ უნდა ყოფილიყო ჟურნალის სამიზნე ჯგუფი ან რა შედეგი უნდა მოეტანა ჟურნალის გამოცემას და მის უსასყიდლოდ გადაცემას საზოგადოების გარკვეული სფეროს წარმომადგენლებისთვის“.

საჩივრის ავტორის განმარტებით, ჟურნალები: „რიწა“ და „იალქანი“ ისტორიულ მემკვიდრეობას მიეკუთვნება. „რიწა“ – 1975 წელს, ხოლო „იალქანი“ 1996 წელს დაარსდა. მათი წარმოების/გამოცემის უპირველესი მიზანი ჟურნალების შენარჩუნებაა და დღემდე რომ არსებობენ, ამ საქმეში სააგენტოს უდიდესი წვლილი მიუძღვის. ჟურნალების საგამომცემლო საქმიანობის დაწყებამდე შესაბამისი დოკუმენტებით იყო განსაზღვრული მათი გამოცემის არსი, მიზანი და ამოცანები (აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაცია მიწოდებულ იქნა აუდიტის ჯგუფისათვის).

საჩივრის ავტორი ასევე მიუთითებს, რომ ჟურნალებს ჰყავს სარედაქციო ჯგუფი, სადაც შედიან რედაქტორები და მხატვრული რედაქტორები. რედაქტორი ვალდებულია, წიგნის ბეჭდვასთან დაკავშირებით მოაგვაროს საორგანიზაციო საკითხები; უზრუნველყოს წიგნის გამოცემის დაგეგმვა, მასალების შერჩევა და ავტორების მოძიება; განახორციელოს მოძიებული მასალების ანალიზი და შეფასება; უზრუნველყოს ავტორებთან ურთიერთობით პრიორიტეტული მასალის მოძიება და შერჩეული მასალის ტექსტის აკრეფა-აწყობა. მხატვრული რედაქტორი ვალდებულია, უზრუნველყოს ჟურნალის გამოცემის მასალების შერჩევა და ავტორების მოძიება; განახორციელოს შემოსული მასალების მხატვრული დონე; ჟურნალებში დასაბეჭდი მასალის რედაქტირება და კორექტირება; უზრუნველყოს ავტორებთან ურთიერთობა, პრიორიტეტული მასალის მოძიება; შერჩეული მასალის ტექსტის აკრეფა-აწყობა.

ზემოთ მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, საჩივრის ავტორი მოითხოვს, მოცემულ კომპონენტზე აუდიტის ანგარიშის დასკვნით ნაწილში არსებული ჩანაწერი საბიუჯეტო სახსრების არამართლზომიერი ხარჯვის შესახებ ამოღებულ იქნეს.

**გ)** საჩივრის ავტორი არ ეთანხმება აუდიტორულ მსჯელობას, რომ სააგენტოს არ განუხორციელებია საკმარისი ქმედითუნარიანი ღონისძიებები ჟურნალების რეალიზაციისა და პოპულარიზაციის მიზნის მისაღწევად.

სააგენტო განმარტავს, რომ ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე, გარკვეული შეზღუდვების ფარგლებში სააგენტომ საკმარისი ქმედითუნარიანი ღონისძიებები განახორციელა ჟურნალების რეალიზაციისა და პოპულარიზაციის თვალსაზრისით. აღნიშნულის დასადასტურებლად საჩივარში წარმოდგენილია ინფორმაცია ამ მიზნით გატარებული ღონისძიებების შესახებ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საჩივრის ავტორი მოითხოვს, რომ აუდიტის ანგარიშიდან ამოღებულ იქნეს სადავო აუდიტორული მსჯელობა.

**4.** საჩივრის ავტორი მოითხოვს, რომ აუდიტის ანგარიშის 2.3.3 ქვეთავიდან, რომელიც კულტურის სააგენტოს აქტივების მართვის ნაკლოვანებებს შეეხება, ამოღებულ იქნეს ჩანაწერი – „ამ დროისათვის სააგენტომ ვერ უზრუნველყო ფართის სრულად გამოყენების მიზნით საჭირო სარემონტო სამუშაოების განხორციელება“.

აღნიშნულთან დაკავშირებით სააგენტო განმარტავს, რომ 2021 წელს ლევან სამხარეულის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული დასკვნის საფუძველზე, სააგენტომ 2022 წელს გამოაცხადა ტენდერი. ტენდერში გამარჯვებულთან დაიდო, დაახლოებით, 60 000-ლარიანი ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარებას მოცემულ ფართზე. სამუშაოებთან დაკავშირებით პროცედურები დღემდე მიმდინარეობს. შესრულებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების 97%.

საჩივრის ავტორი ასევე არ ეთანხმება ამავე ქვეთავში მოცემულ ჩანაწერს (დაბა წყნეთში მდებარე ფართთან დაკავშირებით), რომ „სააგენტოს არ აქვს დანერგილი კონკრეტული და ქმედითი კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფდა აღნიშნული ფართის მხოლოდ უფლებამოსილი პირების მიერ განსაზღვრული მიზნით სარგებლობის/გამოყენების კონტროლს“. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ აუდიტის ჯგუფს მიეწოდა სააგენტოს თანამშრომელთან

გაფორმებული ე.წ. მიმაგრების აქტი, რომლის მიხედვითაც ეს პირი უზრუნველყოფდა ფართის დანიშნულებისამებრ გამოყენებას. შესაბამისად, საჩივრის ავტორი მოითხოვს აუდიტის ანგარიშიდან ამოღებულ იქნეს ზემოთ მითითებული ჩანაწერი.

გარდა ამისა, საჩივრის ავტორი არ ეთანხმება 2.3.3 ქვეთავში (თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზ.

N76<sup>ბ</sup>-ში მდებარე ფართთან დაკავშირებით) არსებულ ჩანაწერს, რომ „სააგენტოს სარგებლობაში არსებულ ფართს სარეპეტიციოდ, ინვენტარის შესანახად და საოფისედ იყენებდა ფოლკლორული ანსამბლი „გუმბათი“, რომელიც ფუნქციონირებდა ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე“. სააგენტო აღნიშნავს, რომ აუდიტის ჯგუფი, ერთი მხრივ, მიუთითებს, რომ ფოლკლორული ანსამბლი „გუმბათი“ ზემოთ ხსენებულ ფართზე ფუნქციონირებდა ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, და მეორე მხრივ, აღნიშნავს, რომ სააგენტო შესაბამისი შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე გასცემდა შრომის ანაზღაურებას ამ ანსამბლის ხელმძღვანელსა და პედაგოგებზე. აღნიშნულზე სააგენტო განმარტავს, რომ სწორედ შრომითი ხელშეკრულება წარმოადგენდა სამართლებრივ საფუძველს, რომელიც სააგენტოს თანამშრომელს სრულ უფლებას ანიჭებდა, თავისი საქმიანობა განხორციელებინა სააგენტოს მფლობელობაში არსებულ ფართზე. შესაბამისად, საჩივრის ავტორი მოითხოვს, მოცემული ჩანაწერი ამოღებულ იქნეს აუდიტის ანგარიშიდან.

ამასთანავე, საჩივრის ავტორი არ ეთანხმება ამავე ქვეთავში არსებულ აუდიტორულ მსჯელობას, რომ: იმ პირობებში, როდესაც ანსამბლში ირიცხებოდა მხოლოდ 9 მოსწავლე, მათ მეცადინეობას არ უნდა დასჭირვებოდა 178,12 კვ.მ. ფართი; ასევე, არასაკმარისი კონტროლის პირობებში იქმნებოდა სააგენტოს ბალანსზე რიცხული ფართის არამართლობიერად, არარაციონალურად გამოყენების რისკები. აღნიშნულთან დაკავშირებით საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ მოცემული 178,12 კვ.მ. ფართიდან 32,79 კვ.მ. ფართი ვიწრო დერეფანს, 15,50 კვ.მ. ფართი – სველ წერტილს, 52,98 კვ.მ. ფართი – სხვენს უჭირავს, ხოლო დანარჩენ 75,86 კვ.მ. ფართს სააგენტო ანსამბლის სარეპეტიციოდ, მათთვის განკუთვნილი ინვენტარის, ეკიპირებისა და სხვა ნივთების შესანახად იყენებდა. ამდენად, საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ აუდიტის ჯგუფმა სათანადო კვლევის გარეშე, უსაფუძვლოდ აღნიშნა ანგარიშში, რომ იქმნება სააგენტოს ბალანსზე რიცხული ფართის არამართლობიერად, არარაციონალურად გამოყენების რისკები. შესაბამისად, საჩივრის ავტორი მოითხოვს აღნიშნული ჩანაწერის სრულად ამოღებას.

**5.** საჩივრის ავტორი არ ეთანხმება აუდიტის ანგარიშის 2.4 ქვეთავში მოცემულ აუდიტორულ მსჯელობას, რომ სააგენტოს სარგებლობაში არსებული უძრავი ქონება (მდებარე: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. N76ბ) არ იყო დატვირთული სრულად და სააგენტოს შემოსავლების მიღების მიზნით ეს რესურსი არ გამოუყენებია, რითაც დაკარგა პოტენციური შემოსავლის მიღების შესაძლებლობა, რაც ქონების არაპროდუქტიულად და არაეფექტიანად განკარგვის რისკებზე მიუთითებს. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ სააგენტო 178 კვ.მ ფართიდან, მისი მდგომარეობიდან გამომდინარე, მხოლოდ 76,85 კვ.მ იყენებდა საკუთარი საქმიანობის განხორციელებისათვის. შესაბამისად, ფართის იმ ნაწილს, რომლის გამოყენებაც შეიძლებოდა, სააგენტო იყენებდა საკუთარი საქმიანობის განხორციელებისათვის. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, საჩივრის ავტორი მოითხოვს, რომ აუდიტის ანგარიშის შესაბამისი ქვეთავიდან ამოღებულ იქნეს მოცემული აუდიტორული შეფასება.

**6.** საჩივრის ავტორი არ ეთანხმება აუდიტის ანგარიშის 2.5.1 ქვეთავში მოცემულ აუდიტორულ მსჯელობას პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის შეუსაბამოდ დაგეგმილი პროგრამებით/ქვეპროგრამებით 113,397 ლარის არამართლობიერად ხარჯვის შესახებ. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ქმედება, რომელიც სამართლის ნორმების შესაბამისია და სამართლებრივად დასაშვებია, არ შეიძლება ჩაითვალოს არამართლობიერად. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „საჯარო სამართლის იურიდიული პირი უფლებამოსილია განახორციელოს შესაბამისი კანონით, საქართველოს მთავრობის დადგენილებით ან/და თავისი წესდებით (დებულებით) გათვალისწინებული საქმიანობა“. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2019 წლის 25 დეკემბრის N44 დადგენილებით დამტკიცებული სსიპ – კულტურის, სპორტის და

ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტოს დებულების მე-2 მუხლის შესაბამისად, სააგენტომ განახორციელა ის ქმედებები, რომელიც მას კანონით ჰქონდა მინიჭებული და თანხები მიმართა სააგენტოს მიზნების შესრულებისკენ. ამასთანავე, საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ სააგენტო დაარსდა 2020 წელს და ამ დროს შექმნილი მძიმე ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის ფონზე, ჯერ კიდევ საპილოტე რეჟიმში მუშაობდა. სააგენტოს ამ პერიოდში გააჩნდა ერთი სახაზინო კოდი, შესაბამისად, სააგენტოს ყველა ხარჯი ამ ერთი კოდიდან ხორციელდებოდა. მოცემული გარემოება არ ნიშნავს იმას, რომ სააგენტომ საბიუჯეტო სახსრები „არამართლზომიერად“ გახარჯა. ამ წლებში სააგენტოს მიერ გაწეული თითოეული თეთრის გაცემის დამადასტურებელი დოკუმენტაცია აუდიტის ჯგუფს მიეწოდა, სადაც თანხების არამართლზომიერად და უკანონოდ გაცემის ფაქტებს ადგილი არ ჰქონია. შესაბამისად, საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ აუდიტორული შეფასება არამართლზომიერების შესახებ გადაჭარბებული და დაუსაბუთებელია და მოითხოვს ამ შინაარსის ჩანაწერის ამოღებას.

გარდა ამისა, საჩივრის ავტორი არ ეთანხმება აუდიტის ანგარიშის 2.5.2 ქვეთავში მოცემულ აუდიტორულ მსჯელობას, რომ სააგენტოს ქვეპროგრამების მოსალოდნელი შედეგები არის ძალიან ზოგადი და შედეგების შეფასების ინდიკატორები არ არის სათანადოდ გაწერილი, რაც შეუძლებელს ხდის სააგენტოს მიერ განხორციელებული ქვეპროგრამებით დასახული მიზნების მიღწევის აუდიტორულ შეფასებას. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოცემული აუდიტორული შეფასება ზოგადი და დაუსაბუთებელია, რის გამოც იგი ამოღებულ უნდა იქნეს.

ამასთანავე, საჩივრის ავტორი არ ეთანხმება აუდიტის ანგარიშის 2.5.3 ქვეთავში მოცემულ აუდიტორულ მსჯელობას პროგრამების/ქვეპროგრამების განხორციელებაში არსებული ნაკლოვანებების შესახებ და მოითხოვს მის ამოღებას, შემდეგ გარემოებათა გათვალისწინებით: 2020 წელს Covid 19-ის პანდემიით გამოწვეული იყო რიგი შეზღუდვები და აკრძალვები; შეფერხებით ხორციელდებოდა მასობრივი ღონისძიებები. აღნიშნული გარემო ფაქტორების გათვალისწინებით, სააგენტოს მხრიდან განხორციელდა წლიური სამოქმედო გეგმის კორექტირება. შესაბამისად, ქვეპროგრამებიდან: „საშემსრულებლო ხელოვნება“ და „ფესტივალებისა და კონკურსების ხელშეწყობა“ საბიუჯეტო სახსრები სრულად გადატანილ იქნა ქვეპროგრამაში „სპორტული ღონისძიებების ინიციატივების ხელშეწყობა“ და სრულად იქნა ათვისებული. ამდენად, საჩივრის ავტორი მოითხოვს მოცემული აუდიტორული მსჯელობა ამოღებულ იქნეს აუდიტის ანგარიშიდან.

**7. საჩივრის ავტორი სადავოდ ხდის აუდიტის ანგარიშის დანართ N3-ში მოცემულ აუდიტორულ შეფასებებს და აღნიშნავს, რომ ბუნდოვანია, რატომ შეფასდა სააგენტოს დებულებით განსაზღვრული საქმიანობის მიმართულებები – შეუსაბამოდ, ნაწილობრივ შესაბამისად და მნიშვნელოვნად შესაბამისად. საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ საკითხი სათანადოდ არ არის შესწავლილი და არ შეიცავს დასაბუთებას იმის თაობაზე, თუ რას ეფუძნება მოცემული აუდიტორული შეფასებები. შესაბამისად, საჩივრის ავტორი მოითხოვს ამ ნაწილში აუდიტის ანგარიშის დაკორექტირებას.**

**მოწინააღმდეგე მხარის პოზიცია:** აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აუდიტის დეპარტამენტის წერილობითი მოსაზრებებით (N002531/19; 02.05.2023) სააგენტოს საჩივარი დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს უსაფუძვლოდ გამო.

## II სამოტივაციო ნაწილი:

საჩივრის გაცნობის, მხარეთა მოსაზრებების მოსმენის, საქმეში არსებული მასალებისა და საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე სამართლებრივი გარემოებების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, პრეზიდიუმი მივიდა დასკვნამდე, რომ სააგენტოს 2023 წლის 24 აპრილის საჩივარი (სახელმწიფო აუდიტის სამსახურში რეგისტრაციის ნომერი და თარიღი: 24/04/2023; N2318/29) ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

1. სპორტული მწვრთნელების შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებული ნაკლოვანებების (აუდიტის ანგარიშის 2.1.2 ქვეთავი, გვ. 14-15) ფაქტობრივი გარემოების ნაწილში მოცემულია შემდეგი სახის ჩანაწერი: „როგორც მძლეოსნობის ეროვნული ფედერაციიდან მიღებული ინფორმაციით დადგინდა, ფედერაციაში ვარჯიში უფასოა. შესაბამისად, სააგენტო შრომის ანაზღაურებას უხდის ფედერაციის მწვრთნელებს, რომელთა მოვალეობაში ისედაც შედიოდა სპორტსმენთა უფასოდ ვარჯიში.“

პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ მოცემული სახით არსებული ჩანაწერი, რომელიც არ შეიცავს სააგენტოს მიერ სპორტული მწვრთნელების დაქირავების მის საკანონმდებლო მანდატთან შესაბამისობის შეფასებას, და ასევე ის გარემოება, რომ დასკვნაში მოცემული აუდიტორული შეფასება: საბიუჯეტო სახსრების არარაციონალური ხარჯვის რისკების შესახებ ექსპლისიტურად არ მიემართება მძლეოსნობის ეროვნულ ფედერაციაში, უფასოდ ვარჯიშის შესაძლებლობის პირობებში, სააგენტოს მიერ მწვრთნელთა დაქირავების ფაქტობრივ გარემოებას, ქმნის განჭვრეტადობის პრობლემას – მცდარი წარმოდგენა შეიქმნას სააგენტოს მიერ გაწეული ხარჯის სამართლებრივ ბუნებასთან (მართლსაწინააღმდეგო, თუ არარაციონალური) დაკავშირებით.

პრეზიდიუმი მიუთითებს ზეპირ სხდომაზე აუდიტის ჯგუფის მიერ წარმოდგენილ განმარტებაზე, რომლის შესაბამისად, აუდიტორული მსჯელობა საბიუჯეტო სახსრების არარაციონალური ხარჯვის რისკების შესახებ მოიაზრებდა, მათ შორის, მძლეოსნობის ეროვნულ ფედერაციაში უფასოდ ვარჯიშის შესაძლებლობის პირობებში მწვრთნელთა დაქირავების შემთხვევას; პრეზიდიუმი ასევე ითვალისწინებს საჩივრის ავტორის განმარტებას მწვრთნელთა რაოდენობის ოპტიმიზაციის და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში საწვრთნელი ინფრასტრუქტურის უფასოდ გამოყენების თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პრეზიდიუმი მივიდა დასკვნამდე, რომ აუდიტორული მიდგომა საბიუჯეტო სახსრების რაციონალურად ხარჯვის გაუმჯობესების პოტენციალის შესახებ საფუძვლიანია, თუმცა აუდიტის ანგარიშის შესაბამისი ნაწილები (2.1.2 ქვეთავი და შემაჯამებელი მიმოხილვა) მოითხოვს ცვლილებას ერთგვაროვანი გაგების უზრუნველსაყოფად.

საჩივრის ავტორის მოთხოვნა სხვა ნაწილში არ დაკმაყოფილდეს უსაფუძვლოდ გამო, ვინაიდან სააგენტოს მიერ არ იქნა წარმოდგენილი აუდიტორული შეფასების გამაქარწყლებელი მტკიცებულებები.

2. აუდიტის ანგარიშის 2.1.3 ქვეთავში (გვ. 15-16) მოცემული ინფორმაცია ანსამბლებთან – „ოტობაია“ და „გუმბათი“ დაკავშირებული დარღვევების თაობაზე, ეფუძნება იმ გარემოებას, რომ აღნიშნული ანსამბლები ფუნქციონირებდნენ შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე და სააგენტომ, ასევე სსიპ – ანსამბლმა „აფხაზეთმა“ არაფორმალურად შექმნილი ქორეოგრაფიული და ფოლკლორული ანსამბლების პედაგოგებთან გააფორმა კონტრაქტები, რაშიც შრომის ანაზღაურების სახით 2020-2021 წლებში დახარჯა, ჯამში – 76,333.50 ლარი. აუდიტორული შეფასებით, ასეთი გარემოება საბიუჯეტო სახსრების არამართლზომიერი და არაეფექტიანი ხარჯვის რისკებს წარმოშობს.

პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ მოცემული აუდიტორული შეფასება დაუსაბუთებელია, ვინაიდან აუდიტის მასალებში წარმოდგენილი დოკუმენტების შესაბამისად, ახალგაზრდების ფოლკლორსა და ქორეოგრაფიაში სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და მართვაზე უფლებამოსილ და პასუხისმგებელ ორგანოს წარმოადგენს სააგენტო (ასევე სსიპ – ანსამბლი „აფხაზეთი“), რომელსაც გაფორმებული აქვს შრომითი კონტრაქტები (დამსაქმებლისათვის ანაზღაურების სანაცვლოდ კონტრაქტით განსაზღვრული სამუშაოს შესასრულებლად) ფიზიკურ პირებთან და არა ანსამბლებთან – „ოტობაია“ და „გუმბათი“. შესაბამისად, ანსამბლების სამართლებრივი ფორმის არარსებობაზე აპელირებით შეფასების გაკეთება საბიუჯეტო სახსრების არამართლზომიერი და არაეფექტიანი ხარჯვის რისკებზე, საფუძველს მოკლებულია, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც აუდიტის ანგარიშში არ არის მოცემული მსჯელობა შრომითი კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულებაზე.

ამდენად, პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ ცვლილება უნდა შევიდეს აუდიტის ანგარიშში და ამოღებულ იქნეს 2.1.3 ქვეთავი „ანსამბლების – „ოტობაია“ და „გუმბათი“ დაკავშირებული დარღვევები“, რეკომენდაცია N1 (ანსამბლების – „ოტობაია“ და „გუმბათი“ ნაწილში) და შემაჯამებელი მიმოხილვის შესაბამისი ეპიზოდი.

**3.** პრეზიდენტი მიუთითებს აუდიტის ანგარიშში ჟურნალებთან – „რიწა“ და „იალქანი“ დაკავშირებული ხარვეზების (აუდიტის ანგარიშის 2.1.4 ქვეთავი, გვ. 16-18) ნაწილში არსებული აუდიტორული შეფასებების შეუსაბამობებზე. კერძოდ, დასკვნაში აღნიშნულია, რომ ქმედითი კონტროლის მექანიზმების არარსებობა იწვევს საბიუჯეტო სახსრების არამართლზომიერ ხარჯვას, ხოლო შემაჯამებელ მიმოხილვაში იგივე ქმედითი კონტროლის მექანიზმების არარსებობა შეფასებულია არაეფექტიანი ხარჯვის რისკებად.

პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ აუდიტორული მიგნების შინაარსიდან გამომდინარე, კონტროლის მექანიზმების არარსებობა მიემართება ჟურნალების პოპულარიზაციასთან დაკავშირებულ ნაკლოვანებებზე, როგორცაა: სათანადო სარედაქციო პოლიტიკის არარსებობა, ჟურნალების გავრცელება ვიწრო წრეებში, ჟურნალების რეალიზაციის დაბალი მაჩვენებელი, რაც მიუთითებს სააგენტოს მხრიდან საკმარისი ქმედითუნარიანი ღონისძიებების განხორციელებლობაზე ამ ჟურნალების პოპულარიზაციის მიზნის მისაღწევად; ყოველივე აღნიშნული კი, თავისი შინაარსით მიუთითებს სააგენტოს მიერ მისი მანდატის მარეგულირებელი წესების შესაბამისი ფუნქციის – საგამომცემლო საქმიანობის არაეფექტიანად განხორციელების რისკებსა და არა – არამართლზომიერებაზე.

აღნიშნულის გათვალისწინებით პრეზიდენტი მიაჩნია, რომ შესაბამისი ცვლილება უნდა განხორციელდეს დასკვნაში საბიუჯეტო სახსრების არამართლზომიერი ხარჯვის შეფასების ნაწილში.

გარდა ამისა, აუდიტის ანგარიშში აღნიშნულია, რომ ჟურნალების გამოცემასთან დაკავშირებული ხარჯების არამართლზომიერება უკავშირდება იმ გარემოებას, რომ 2020-2021 წლებში ჟურნალების გამოცემის მიზნით არ იყო შექმნილი შესაბამისი პროგრამა პროგრამული ბიუჯეტირების პრინციპით და ამ ხარჯების დაფინანსება ხორციელდებოდა სააგენტოს აპარატის პროგრამული კოდიდან, რომელიც თავისი შინაარსით მიეკუთვნება მართვისა და რეგულირების პროგრამას.

მოცემულ აუდიტორულ შეფასებასთან დაკავშირებით პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში აუდიტორული შეფასების სიმძიმე ბიუჯეტის დაგეგმვის ნაწილში გამოვლენილი ნაკლოვანების ხასიათის პროპორციული არ არის იმის გათვალისწინებით, რომ სააგენტო საგამომცემლო საქმიანობას ახორციელებდა თავისი კომპეტენციის ფარგლებში და ხარჯებს გასწევდა სააგენტოს ხელმძღვანელის ბრძანებით დამტკიცებული პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად; ამასთანავე, სააგენტო იყო ახლადშექმნილი (დაფუძნდა 2020 წლის 1 იანვარს) და 2020-2021 წლებში იყო პანდემიის პერიოდი.

საგულისხმოა ისიც, რომ პროგრამების დაგეგმვაში არსებული ხარვეზების პირობებში ჟურნალების გამოცემის პროექტების განხორციელებაზე გაწეული ხარჯი ფაქტობრივი გარემოების ნაწილში მოცემული აუდიტორული შეფასებით არამართლზომიერია, რაც არ შეესაბამება ამავე ეპიზოდზე დასკვნით ნაწილში მოცემულ აუდიტორულ შეფასებას, რომლის თანახმად ფიქსირდება ამ მიზნით გაწეული საბიუჯეტო სახსრების არაეფექტიანად ხარჯვის რისკები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პრეზიდიუმს მიაჩნია, რომ ფაქტობრივ გარემოებაში მოცემული აუდიტორული შეფასება არამართლზომიერი ხარჯის შესახებ, უნდა შეიცვალოს.

რაც შეეხება საჩივრის ავტორის მოთხოვნას აუდიტის ანგარიშიდან ამოღებულ იქნეს ჩანაწერი ჟურნალების – „რიწის“ და „იალქის“ პოპულარიზაციის მიზნით სააგენტოს მიერ არასაკმარისი ქმედითუნარიანი ღონისძიებების გატარების თაობაზე, პრეზიდიუმი აღნიშნავს: როგორც აუდიტის მასალებიდან დგინდება, სააგენტოს მიერ ჟურნალები ძირითადად ვრცელდებოდა თავად ავტორებზე, გამომცემლობის თანამშრომლებზე, დევნილი საზოგადოების ვიწრო წრეში, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოსა და აფხაზეთის სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლებზე. ამდენად, საჩივრის ავტორის მოთხოვნა ამ ნაწილში დაუსაბუთებელია.

**4. აუდიტის ანგარიშის თანახმად (2.3.3 ქვეთავი, გვ. 21-23), სააგენტოს სარგებლობაში არსებული ფართის (მდებარე თბილისი, დაბა წყნეთი, ზონა „გ“, მაია წყნეთელის II ჩიხი N2) უმეტესი ნაწილი (81%) არის უფუნქციო და სააგენტომ ვერ უზრუნველყო ფართის სრულად გამოყენების მიზნით საჭირო სარემონტო სამუშაოების განხორციელება. ამასთანავე, არ არის დანერგილი ქმედითი კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფდა აღნიშნული ფართის მხოლოდ უფლებამოსილი პირების მიერ განსაზღვრული მიზნით სარგებლობის კონტროლს. შესაბამისად, აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო სათანადო რწმუნება ფართის დანიშნულებისამებრ გამოყენების შესახებ.**

პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ საჩივრის ავტორს არ წამოუდგენია ზემოაღნიშნული აუდიტორული შეფასების გამაქარწყლებელი მტკიცებულებები. კერძოდ, მის მიერ არგუმენტად მოხმობილი სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება (SPA220001898; 30.08.2022წ.), რომელიც ითვალისწინებდა სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარებას, დღეის მდგომარეობითაც დაუსრულებელია, ხელშეკრულებას მინიჭებული აქვს სტატუსი – შეუსრულებელი ხელშეკრულება (23.02.2023წ.) და თვით სააგენტოს მიმართვის საფუძველზე მიმწოდებელი რეგისტრირებულია შავ სიაში სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების გამო (სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის განკარგულება N942; 22.03.2023წ.); მეტიც, სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესყიდვა და განხორციელება არ უკავშირდება აუდიტულ პერიოდს (2020-2021წწ.).

რაც შეეხება ამავე ფართზე არასაკმარისი კონტროლის მექანიზმის არსებობის საკითხს, პრეზიდიუმი მიუთითებს, რომ საჩივრის ავტორის მიერ მოხმობილი მიმაგრების აქტი (30.12.2020წ.) წარმოადგენს ძირითად საშუალებათა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა შესაბამის პირზე მიმაგრების აქტს, რომელიც ითვალისწინებს ამ პირის პასუხისმგებლობას ძირითადი საშუალებების და მატერიალური ფასეულობების მოვლა-პატრონობაზე და არა ამ ფართის მიზნობრივად გამოყენების კონტროლზე.

ამდენად, პრეზიდიუმი მიიჩნევს, რომ ამ ნაწილში საჩივრის ავტორის მოთხოვნა დაუსაბუთებელია.

რაც შეეხება აუდიტის ანგარიშის ამავე ქვეთავში აუდიტორულ მსჯელობას სააგენტოს სარგებლობაში არსებული ფართის (მდებარე თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. N76<sup>ბ</sup>, ს/კ: 01.14.03.039.020) არამართლზომიერად და არარაციონალურად გამოყენების რისკების თაობაზე, აღნიშნული უკავშირდება ისეთ გარემოებებს, როგორებიცაა: ანსამბლ „გუმბათის“ ფუნქციონირება შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე და ანსამბლის ხელმძღვანელსა და პედაგოგებზე შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე შრომის ანაზღაურების გაცემა, ასევე მათთვის

აქტივებისა და უძრავი ქონების გადაცემა; 178.12 კვ.მ ფართის გამოყენება ანსამბლის 9 მოსწავლის მეცადინეობისთვის და ქმედითი კონტროლის მექანიზმების არარსებობა.

ზემოთ აღნიშნულ ეპიზოდზე პრეზიდენტი არ იზიარებს არამართლზომიერი რისკის თაობაზე აუდიტორულ მსჯელობას, ვინაიდან ასეთი რისკის არსებობის დასაბუთებლად მოყვანილი ისეთი გარემოება, როგორცაა, ანსამბლ „გუმბათის“ სამართლებრივი საფუძვლის გარეშე არსებობა, თავისი შინაარსით არ არის არამართლზომიერი და ამ თვალსაზრისით არც პედაგოგებთან გაფორმებული შრომითი კონტრაქტები ატარებს ამგვარ ხასიათს. რაც შეეხება ფართის დაბალი დატვირთვით გამოყენებას იმ მოტივით, რომ ანსამბლში ირიცხება მხოლოდ 9 მოსწავლე, აღნიშნული შესაძლებელია მიუთითებდეს მხოლოდ არარაციონალურად გამოყენების რისკზე იმ პირობებში, როდესაც აუდიტით სხვა კონკრეტული გარემოებები ფართის არამიზნობრივად გამოყენების თაობაზე არ იქნა გამოვლენილი. ამასთანავე, მხოლოდ არასაკმარისი კონტროლის მექანიზმების არსებობა უპირობოდ არ ქმნის საფუძველს არამართლზომიერი რისკის არსებობის თაობაზე აუდიტორული დასკვნისთვის, აღნიშნული დასაბუთების უფრო მაღალ სტანდარტს მოითხოვს. აქვე საგულისხმოა ისიც, რომ აუდიტის ანგარიშის მოცემული ეპიზოდის დასკვნაში უძრავი ქონების გამოყენება არასათანადო კონტროლის პირობებში შეფასებულია არარაციონალურად და არაეფექტიანად.

ამდენად, პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ აუდიტის ანგარიშში შეტანილ უნდა იქნეს ცვლილება უძრავი ქონების (ფართი: ვაჟა-ფშაველას გამზ. N76<sup>ბ</sup>) არამართლზომიერად გამოყენების რისკებზე აუდიტორული შეფასების ნაწილში, ხოლო საჩივრის ავტორის მოთხოვნა ამავე აქტივის არარაციონალურად გამოყენების რისკზე აუდიტორული შეფასების ამოღებასთან დაკავშირებით დაუსაბუთებელია, ვინაიდან დადგენილი გარემოებები – ფართის დაბალი დატვირთვით გამოყენებისა და სააგენტოს ინიცირებით აღნიშნული უძრავი ქონების სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსთვის დაბრუნების შესახებ, ფართის არარაციონალურად გამოყენების რისკთან დაკავშირებით გამოთქმული აუდიტორული მოსაზრების საფუძვლიანობის განმსაზღვრელია. აქვე პრეზიდენტი დასძენს, რომ დასკვნის ნაწილში მოცემული აუდიტორული შეფასება არასათანადო კონტროლის პირობებში უძრავი ქონების არარაციონალურად და არაეფექტიანად გამოყენების შესახებ, შესაბამისობაში უნდა მოვიდეს ამავე მიგნების ფაქტობრივ გარემოებაში მოცემულ შეფასებასთან, სადაც არასაკმარისი კონტროლის პირობებში ფართის გამოყენება არარაციონალურად გამოყენების რისკებთან არის დაკავშირებული.

**5.** აუდიტის ანგარიშის თანახმად (2.4 თავი, გვ. 23-24), საკუთარი შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებული ნაკლოვანება უკავშირდება ფაქტობრივ გარემოებას, რომ სააგენტოს სარგებლობაში არსებული უძრავი ქონება (მათ შორის, მდებარე თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი N76<sup>ბ</sup>) არ იყო სრულად დატვირთული, თუმცა სააგენტოს, რომელსაც ჰქონდა შესაძლებლობა უფრო ეფექტიანად გამოეყენებინა იგი, არ განუხორციელებია შესაბამისი ქმედითი ღონისძიებები. შესაბამისად, აუდიტორი იძლევა რეკომენდაციას, დაიგეგმოს უძრავი ქონების განკარგვა იმგვარად, რომ მოხდეს საბიუჯეტო რესურსების სრულად, ეფექტიანად გამოყენება და პოტენციური შემოსავლის მიღება.

საჩივრის ავტორის განცხადებით, სააგენტო სრული დატვირთვით იყენებდა უძრავ ქონებას საკუთარი ფუნქციების შესასრულებლად, რის გამოც მისი სხვაგვარად განკარგვა არ იქნებოდა რაციონალური. პრეზიდენტი მიუთითებს, რომ საჩივრის ავტორის მოხმობილ გარემოებას აქარწყლებს თავად მომჩივნის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ აღნიშნული ქონება საკუთარი ინიციატივით დაუბრუნეს სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, რაც დასტურდება საჯარო რეესტრის შესაბამისი მონაცემებით (25.04.2023წ. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან).

ამდენად, პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ ამ ნაწილში საჩივრის ავტორის მოთხოვნა დაუსაბუთებელია.

ამასთანავე, პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ N2 რეკომენდაციის ის ნაწილი, რომელიც შეეხება არაფინანსური აქტივების არაუფლებამოსილი პირების მიერ გამოყენებას, არ შეესაბამება აუდიტორული მიგნების (საკუთარი შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები) შინაარსს და შესაბამისად, ამ ნაწილში უნდა იქნეს დაკორექტირებული.

**6.** პრეზიდენტი მიუთითებს პროგრამების დაგეგმვაში არსებული ხარვეზების (2.5.1 ქვეთავი, გვ. 25) ფაქტობრივი გარემოებისა და დასკვნის ნაწილში მოცემული აუდიტორული შეფასებების შეუსაბამობაზე. კერძოდ, პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის შეუსაბამოდ დაგეგმილი პროგრამების პირობებში განხორციელებული ხარჯი, აუდიტორს ფაქტობრივი გარემოების ნაწილში შეფასებული აქვს არამართლზომიერ/არამიზნობრივ ხარჯვის რისკად, ხოლო დასკვნის ნაწილში ერთმნიშვნელოვნად – არამართლზომიერად.

პრეზიდენტი ასევე ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ ამავე შინაარსის ხარვეზი (პროგრამების/ქვეპროგრამების დაგეგმვასთან დაკავშირებით) სხვა კონკრეტულ ეპიზოდთან დაკავშირებით (ჟურნალების – „რიწასთან“ და „იალქანთან“ დაკავშირებული ხარვეზები, 2.1.4 ქვეთავი, გვ. 16-17) აუდიტორის მიერ შეფასებულია საბიუჯეტო რესურსების არაეფექტიანად ხარჯვის რისკად.

ამდენად, პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ ურთიერთშეუსაბამოების აღმოსაფხვრელად ამ ნაწილში (ფაქტობრივი გარემოება, დასკვნა) უნდა განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები ერთგვაროვანი და პროპორციული აუდიტორული შეფასებების უზრუნველსაყოფად.

**7.** აუდიტის ანგარიშში (2.5.2 ქვეთავი, გვ. 26-27) პროგრამების/ქვეპროგრამების ინდიკატორებთან დაკავშირებული ნაკლოვანებების ნაწილში აღნიშნულია, რომ ვინაიდან სააგენტოს ქვეპროგრამებში დასახული მოსალოდნელი შედეგები არის ზოგადი ხასიათის, ხოლო შედეგების შეფასების ინდიკატორები არ არის მოსალოდნელი შედეგის შესაბამისი და შედეგზე ორიენტირებული. შესაბამისად, შეუძლებელია სააგენტოს მიერ განხორციელებული ქვეპროგრამებით დასახული მიზნების მიღწევის აუდიტორული შეფასება.

პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ მაშინ როდესაც აუდიტორი უთითებს სააგენტოს მიერ დასახული მიზნების მიღწევის აუდიტორული შეფასების შეუძლებლობაზე, აუდიტის ანგარიშის 2.6 თავსა და დანართ N3-ში აუდიტორის მიერ სწორედ ეს საკითხებია შეფასებული. კერძოდ, აღნიშნულ დანართში სააგენტოს დებულებით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების შესრულება შეფასებულია – ნაწილობრივ შესაბამისად, მნიშვნელოვნად შესაბამისად, შეუსაბამოდ. ამდენად, აუდიტორული მსჯელობა ამ ნაწილში არათანმიმდევრულია. ამასთანავე, აუდიტის ანგარიშში არ არის ასახული და დასაბუთებული, თუ რაზე დაყრდნობით განხორციელეს აუდიტორებმა სააგენტოს დებულებით განსაზღვრული მიზნების/ამოცანების შესრულების შეფასება, რაც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს აუდიტის შედეგებისადმი სანდოობას. ასე მაგალითად, აუდიტის ანგარიშის 2.1.4 ქვეთავში მოცემული აუდიტორული შეფასებით, ჟურნალების – „რიწის“ და „იალქნის“ საგამომცემლო საქმიანობა ხასიათდება ხარვეზებით, ხოლო დანართ N3-ის თანახმად, ამავე ჟურნალებთან დაკავშირებული საგამომცემლო საქმიანობა შეფასებულია პოზიტიურად – „მნიშვნელოვნად შესაბამისი“.

ამდენად, პრეზიდენტი მიუთითებს აუდიტის ანგარიშის შესაბამის ნაწილებში (აუდიტის ანგარიშის 2.5.2 ქვეთავი, 2.6 თავი, დანართი N3) კორექტირების საჭიროებაზე.

**8.** საჩივრის ავტორი ითხოვს აუდიტის ანგარიშის 2.5.3 ქვეთავის (გვ. 27) ამოღებას იმაზე აპელირებით, რომ ქვეპროგრამები ვერ განხორციელდა პანდემიის გამო.

პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ შედეგი (განსახილველ შემთხვევაში – ქვეპროგრამების განუხორციელებლობა), რომელიც გამოწვეულია გარე ძალებით (პანდემიით), არ განიხილება ფორსმაჟორად, თუ სახეზე არ არის სხვა კრიტერიუმები, რაც ამ მოვლენას ფორსმაჟორად აქცევს. იმ პირობებში, როდესაც სააგენტოსთვის პანდემიის შესახებ ცნობილი იყო წინასწარ, დაგეგმვის

პროცესშივე, რაც პროგნოზირებადს ხდიდა დაგეგმილი ღონისძიებების განუხორციელებლობას (მაღალი ალბათობით), ასეთი შემთხვევა არ განიხილება ფორსმაჟორად. შესაბამისად, საფუძვლიანია აუდიტორული შეფასება, რომ ქვეპროგრამების განუხორციელებლობა უკავშირდება დაგეგმვაში არსებულ ნაკლოვანებას.

ამდენად, პრეზიდიუმი მიიჩნევს, რომ ამ ნაწილში საჩივრის ავტორის მოთხოვნა დაუსაბუთებელია.

### III

#### სარეზოლუციო ნაწილი:

იხელმძღვანელა რა „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 27-ე მუხლის მე-4 პუნქტით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 201-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და გენერალური აუდიტორის 2013 წლის 1 თებერვლის N14/37 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეგლამენტის“ მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და ამავე მუხლის მე-4 პუნქტით, მე-9 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით,

#### პრეზიდიუმმა გადაწყვიტა:

1. სააგენტოს 2023 წლის 24 აპრილის საჩივარი (სახელმწიფო აუდიტის სამსახურში რეგისტრაციის ნომერი და თარიღი: N2318/29; 24/04/2023) დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და შესაბამისი ცვლილება შევიდეს აუდიტის ანგარიშის (N15/36; 04.04.2023წ.) შემდეგ ნაწილებში: 2.1.2 ქვეთავი და მასთან დაკავშირებული შემაჯამებელი მიმოხილვის შესაბამისი ეპიზოდი; 2.1.3 ქვეთავი, რეკომენდაცია N1 (ანსამბლების: „ოტობაიას“ და „გუმბათის“ ნაწილში) და შემაჯამებელი მიმოხილვის შესაბამისი ეპიზოდი; 2.1.4 ქვეთავი; 2.3.3 ქვეთავი; რეკომენდაცია N2; 2.5.1 ქვეთავი; 2.5.2 ქვეთავი, 2.6 თავი (2.5.2 ქვეთავში მოცემული აუდიტორული მიგნების შესაბამის ეპიზოდში) და დანართი N3.
2. სხვა ნაწილში საჩივრის ავტორს უარი ეთქვას მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.
3. გადაწყვეტილება გადაეგზავნოთ დაინტერესებულ მხარეებს.

გოტნე ყავლაშვილი  
გენერალური აუდიტორი




ნატო ზაალიშვილი  
იურიდიული დეპარტამენტის უფროსი



**ცოტნე ქარქაშაძე**

სახელმწიფო ბიუჯეტისა და სტრატეგიული  
ანალიზის დეპარტამენტის უფროსი



სახელმწიფო აუდიტის სამსახური / სოციალური სფეროს

აუდიტის დეპარტამენტი

დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

მარიამ ზაალიშვილი



**თორნიკე შერმადინი**

ეკონომიკური საქმიანობის სფეროს

აუდიტის დეპარტამენტის უფროსი



სახელმწიფო აუდიტის სამსახური /

თვითმმართველი ერთეულების აუდიტის დეპარტამენტი

დეპარტამენტის უფროსი

გიორგი მამრიკიშვილი



სახელმწიფო აუდიტის სამსახური / ეფექტიანობის აუდიტის

დეპარტამენტი

დეპარტამენტის უფროსი

გიორგი კაპანაძე



გიორგი გაჩეჩილაძე

ინფორმაციული ტექნოლოგიების

ადმინისტრირების დეპარტამენტის

უფროსი



**ალექსანდრე გოგოლაშვილი**

აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფის

დეპარტამენტის უფროსი



**კახაბერ კირტავა**

აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში



**ვაჟა ბრაგვაძე**

ადმინისტრაციის უფროსი

